

ევროპის და ამერიკის საკითხებში გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო მინისტრის, სერ ალან დუნკანის ვიზიტი საქართველოში და საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის უორდროპის სტრატეგიული დიალოგის მეხუთე რაუნდი

ერთობლივი კომუნიკე

თბილისი, 2018 წლის 8 ნოემბერი

2018 წლის 8 ნოემბერს, უორდროპის სტრატეგიული დიალოგის მე-5 რაუნდის ფარგლებში, საქართველოს ვიზიტით ეწვია ევროპის და ამერიკის საკითხებში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო მინისტრი სერ ალან დუნკანი. დიალოგს უძღვებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი და ევროპის და ამერიკის საკითხებში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო მინისტრი სერ ალან დუნკანი.

დიალოგი ოლივერ უორდროპის - ბრიტანელი დიპლომატის, ოქსფორდის უნივერსიტეტში ქართველოლოგიური მიმართულების დამაარსებლისა და მხარდამჭერის სახელს ატარებს, რომელიც ცნობილია, როგორც 1919–1921 წლებში ამიერკავკასიაში გაერთიანებული სამეფოს პირველი უმაღლესი წარმომადგენელი. სერ ოლივერ უორდროპის სახელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ წელს იძენს, როდესაც საქართველო დამოუკიდებლობისა და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავს აღნიშნავს.

ორმხრივ შეხვედრაზე, მინისტრებმა დაადასტურეს თავიანთი მხარდაჭერა ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის, პოლიტიკური დიალოგისა და ინტენსიური ორმხრივი დღის წესრიგის მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა თავდაცვის, უსაფრთხოების, ეკონომიკის, ვაჭრობის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ხალხთა შორის ურთიერთობათა განხორციელებებზე.

ვიზიტის ფარგლებში, სერ ალან დუნკანმა პატივი მიაგო საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას და გვირგვინით შეამკო მათი მემორიალი. მან ასევე გვირგვინით შეამკო პირველ მსოფლიო ომში დაღუპული თანამეგობრობის ჯარისკაცთა მემორიალი.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, დავით ზალკალიანის მასპინძლობით გამართულ სამუშაო სადილზე, რომელსაც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, ქეთევან ციხელაშვილი ესწრებოდა, მხარეებმა საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებულ თანამშრომლობაზე იმსჯელეს. განსაკუთრებული ყურადღება რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტაზე, საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში არსებულ ვითარებასა და ომისგან დაშორიშორებული მოსახლეობის დაახლოებისა და შერიგების პროცესზე გამახვილდა.

გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს ელჩი, თამარ ბერუჩაშვილი და საქართველოში ბრიტანეთის ელჩი, ჯასტინ მაკკენზი სმიტი მონაწილეობდნენ ყველა შეხვედრაში.

რეზიუმე

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს უორდროპის ყოველწლიური სტრატეგიული დიალოგის, როგორც ფუნდამენტური მექანიზმის, განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც წარმატებით არეგულირებს ორმხრივი თანამშრომლობის მთელ რიგ საკითხებს. მათ

ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები ლონდონში, 2017 წლის 23 და 24 ოქტომბერს გამართული ბოლო შეხვედრის შემდეგ მიღწეული შთამბეჭქდავი პროგრესის შესახებ. დელეგაციებმა საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ორმხრივი დღის წესრიგის შესახებ იმსჯელეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პოლიტიკის, თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროებზე, ასევე ევროკავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გასვლის შემდეგ წარმოქმნილ შესაძლებლობებზე. მხარეებმა ასევე განიხილეს ორივე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები; რეგიონული პოლიტიკის საკითხები და უსაფრთხოების გამოწვევები; ასევე აღნიშნული გამოწვევების გადაწყვეტის გზები. მათ დაადასტურეს საერთო ღირებულებებისა და ინტერესების მიმართ მხარდაჭერა და გაცვალეს მოსაზრებები გლობალურ საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოსა და გაერთიანებული სამეფოს დელეგაციების ხელმძღვანელებმა ხაზგასმით დაადასტურეს სტრატეგიული პარტნიორობის მიმართ ერთგულება და მზაობა, მხარი დაუჭირონ წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო სისტემას გლობალური გამოწვევების დაძლევისა და ორივე ქვეყნისთვის უფრო სამართლიანი, უფრო უსაფრთხო, უფრო მდგრადი და უფრო წარმატებული მომავლის უზრუნველყოფის მიზნით.

დიალოგის ფარგლებში, ორივე მხარემ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ევროკავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გასვლის შემდეგ, გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარებისთვის ორმხრივი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას.

შეხვედრის ერთ-ერთ თემას საქართველოს ევრო-ატლანტიკური მისწრაფებები წარმოადგენდა. გაერთიანებული სამეფო აღიარებს გაწევრიანებისთვის მზადების პროცესში საქართველოს მიერ რეფორმების კუთხით მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს. მხარეები შეთანხმდნენ, განაგრძონ დიალოგი პროცესის ხელშეწყობის მიზნით. გაერთიანებული სამეფოს მხრიდან კიდევ ერთხელ აღინიშნა ბრიუსელის სამიტზე მიღებული და ნატო-საქართველოს კომისიის სახელმწიფო და მთავრობის მეთაურთა დონეზე მიღებულ დეკლარაციაში ასახული გადაწყვეტილებები. გაერთიანებულმა სამეფომ აღიარა შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით საქართველოს მიერ შეტანილი წვლილი და მიესალმა, აღნიშნულ კონტექსტში, პრაქტიკული თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

დიალოგის განმავლობაში, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის აუცილებლობაზე, საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში არსებულ ვითარებასა და კონფლიქტთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, ქეთევან ციხელაშვილმა შერიგების კუთხით გაწეულ ძალისხმევასა და ჩართულობის პოლიტიკაზე, კერძოდ კი, საქართველოს მთავრობის ახალ სამშვიდობო ინიციატივაზე „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ისაუბრა. ბრიტანეთის მხარე მიესალმა აღნიშნულ ძალისხმევას.

ორივე დელეგაცია მიესალმა „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ საპარლამენტო განზომილებას, რომელიც ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებს შორის მჭიდრო

ურთიერთობებით ხასიათდება და ხელს უწყობს საქართველოსა და გაერთიანებული სამეფოს ორმხრივი დღის წესრიგის საერთო დინამიკის შენარჩუნებას.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების ხელშეწყობის მნიშვნელობა. ყურადღება გამახვილდა 2018 წლის ივნისში, საქართველოში გაერთიანებული სამეფოს პირველი სავაჭრო მისიის ვიზიტზე, რომელსაც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სავაჭრო წარმომადგენელი მარკ პრიჩარდი ხელმძღვანელობდა. ეს ვიზიტი გაზრდილი სავაჭრო კავშირებისა და ბიზნეს წრეებს შორის დიალოგის მანიშნებელია.

მხარეებმა ხალხთა შორის ურთიერთობათა მნიშვნელობასა და ხალხთა დაახლოებაში დამძობილებული ქალაქების განსაკუთრებულ როლზეც ისაუბრეს. ამ კონტექსტში, მათ აღნიშნეს თბილისისა და ბრისტოლის დამძობილების 30 წლისთავი და მიესალმნენ ორივე ქალაქში ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნესისა და კულტურის წრეების დონეზე გამართულ მთელ რიგ ღონისძიებებს.

„უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ მეხუთე რაუნდის განმავლობაში ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოსა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობებს შორის კიბერ-უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ და ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ბრიტანეთის ბიბლიოთეკას შორის თანამშრომლობის შესახებ.

მინისტრთა პლენარული სხდომა

მინისტრთა პლენარულ სხდომაზე, ორივე მხარე მიესალმა საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებულ შესანიშნავ პოლიტიკურ ურთიერთობებსა და სტრატეგიულ თანამშრომლობას, რაც როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორუმებზე ჰპოვებს ასახვას.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა ხაზგასმით ისაუბრა საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში არსებულ ვითარებაზე და მადლიერება გამოხატა გაერთიანებული სამეფოს მიმართ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში შეტანილი წვლილისთვის. მან დაადასტურა საქართველოს ურყევი ერთგულება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის პოლიტიკასთან მიმართებაში. ამ კონტექსტში, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უადრესად მნიშვნელოვანია, გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მიერ ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშში შენარჩუნდეს აღნიშნულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ასახვის პრაქტიკა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ყურადღება გამახვილა კონსოლიდირებული საერთაშორისო მიდგომის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას რუსეთის ფედერაციის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების სრულად განხორციელება, რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება. მან ასევე მადლიერება გამოხატა რუსეთ-საქართველოს ომის 10 წლისთავზე გაერთიანებული სამეფოს ოფიციალური პირების მხრიდან გაკეთებულ მხარდამჭერ განცხადებებთან დაკავშირებით.

საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი მიესალმა საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების აქტიურ განხილვას გაერთიანებული სამეფოს პარლამენტში გამართული სხვადასხვა დებატის ფარგლებში, ასევე საქართველოს საკითხებზე მომუშავე

ინტერპარტიული საპარლამენტო ჯგუფის მიერ 2018 წლის ივლისში ინიცირებულ წინადადებას პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

საქართველოს მხარემ სრული პატივისცემა გამოხატა ევროკავშირიდან გასვლის შესახებ გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობის მიერ გაკეთებულ დემოკრატიულ არჩევანთან დაკავშირებით. ორივე მხარემ დაადასტურა მზაობა, შეინარჩუნონ ორმხრივ ურთიერთობათა დინამიკა ყოვლისმომცველი დღის წესრიგის შესაბამისად. საგარეო საქმეთა მინისტრმა იმედი გამოთქვა რომ, ევროკავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გასვლის შემდეგ, მისი ჩართულობა საქართველოსა და რეგიონში კვლავაც გაგრძელდება.

სერ ალან დუნკანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული სამეფო განუხრელად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, არა-აღიარების პოლიტიკას და საქართველოს მთავრობის ძალისხმევას კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის მიმართულებით. ის მიესალმა საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მიმართ საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკას, მათ შორის, 2018 წლის აპრილში საქართველოს მთავრობის მიერ წამოყენებულ ახალ სამშვიდობო ინიციატივას „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“. მან ასევე დაგმო საქართველოს ორ რეგიონში რუსეთის სამხედრო ყოფნის გაძლიერება და შეშფოთება გამოთქვა იმ საფრთხესთან დაკავშირებით, რომელსაც რუსეთის უკანონო ქმედებები უქმნის რეგიონულ სტაბილურობას.

სერ ალან დუნკანმა მადლიერება გამოხატა სოლსბერის ტრაგიკულ მოვლენებზე საქართველოს მთავრობის სოლიდარულ პოზიციასთან დაკავშირებით და მიესალმა საქართველოს მხარდაჭერას წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო სისტემის შენარჩუნების კუთხით, კერძოდ, ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის (OPCW) მეშვეობით.

გაერთიანებული სამეფოს მხარე მიესალმა ბოლო წლებში საქართველოს დემოკრატიულ ტრანსფორმაციას და საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის თავისუფალ, სამართლიან და გამჭვირვალე გარემოში ჩატარებას. სერ ალან დუნკანმა დაადასტურა საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების მიმართ გაერთიანებული სამეფოს სრული მხარდაჭერა.

მეხუთე სესიის ფარგლებში, მხარეებმა იმსჯელეს ორმხრივი თანამშრომლობის აქტუალურ საკითხებზე და შეთანხმდნენ, გააფართოონ პარტნიორობა ვაჭრობის, ინოვაციების, კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სფეროში არსებული კავშირების მეშვეობით.

პოლიტიკური კომპონენტი

პოლიტიკური კომპონენტის ფარგლებში დისკუსიების მიმდინარეობისას, საქართველოსა და ბრიტანეთის წარმომადგენლებმა განსაზღვრეს ის ძირითადი პრიორიტეტები, რომლებიც ბრექსიტის შემდგომ ურთიერთობებს განაპირობებს.

საქართველოს მხარემ წარმოადგინა მთავრობის რეფორმების დღის წესრიგი 2018-2020 წლებისთვის. რეფორმათა პაკეტი, რომელიც ხუთ პრინციპზეა დაფუძნებული, შექმნის მყარ საფუძველს ქვეყნის გრძელვადიანი დემოკრატიული, სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის. ამ კონტექსტში, ხაზგასმით აღინიშნა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების

მნიშვნელობა. საქართველოს მხარემ მადლიერება გამოხატა „კარგი მმართველობის ფონდის“ მიერ მთავრობის რეფორმების დღის წესრიგის განხორციელების პროცესში გაწეული დახმარებისთვის. გაერთიანებულმა სამეფომ მალაღი შეფასება მისცა და აღნიშნა საქართველოს მთავრობისა და ქართული საზოგადოების გადამწყვეტი როლი, წინ წავიდეს დემოკრატიული კონსოლიდაციისა და ეკონომიკური განვითარების გზაზე მათ შორის, განათლების, ინკლუზიური ზრდისა და სასამართლო რეფორმის საშუალებით. გაერთიანებულმა სამეფომ დაადასტურა მზაობა, დახმარება გაუწიოს საქართველოს მთავრობას რეფორმების განხორციელების პროცესში.

საქართველოს მხარემ წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან მიმართებაში რუსეთის პროვოკაციული ქმედებებისა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების დარღვევებთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება ადგილზე უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუარესებით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ორმხრივი და მრავალმხრივი ფორუმების ფარგლებში გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკურ მხარდაჭერაზე ისევე, როგორც გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა შესახებ ანგარიშზე, რომელიც აფიქსირებს ადამიანის უფლებათა უხემ დარღვევებს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში. საქართველოს მხარემ დააფიქსირა მკაფიო პოზიცია ქენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში შედეგზე ორიენტირებულ მონაწილეობასთან დაკავშირებით, რათა შესაძლებელი გახდეს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და მოუგვარებელი კონფლიქტის შედეგად შექმნილი ჰუმანიტარული და უსაფრთხოების გამოწვევების აღმოფხვრა. საქართველოს მხარემ განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვა რუსეთის მიერ გადადგმულ დესტრუქციულ ნაბიჯებზე ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების მნიშვნელოვანი ფორმატების უგულებელყოფის კუთხით. საქართველოს მხარემ დაადასტურა მზაობა, განაგრძოს შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა, მათ შორის, ახალი სამშვიდობო ინიციატივების განხორციელების გზით, და ხაზგასმით აღნიშნა გახლეჩილ საზოგადოებებს შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის პროცესში გაერთიანებული სამეფოს შემდგომი მხარდაჭერის მნიშვნელობა, ასევე მიესალმა კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის საქმიანობას.

გაერთიანებული სამეფოს მხარემ დაადასტურა გახლეჩილ საზოგადოებებს შორის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის მიმართ თავისი მტკიცე მხარდაჭერა და სურვილი, ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობის ახალ სამშვიდობო ინიციატივას. გაერთიანებული სამეფოს მხარემ დაადასტურა მზაობა, კვლავ ხმამაღლა ისაუბროს საერთაშორისო არენაზე რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის საჭიროებაზე.

თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის კომპონენტი

თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის კომპონენტის ფარგლებში დისკუსიების მიმდინარეობისას, დელეგაციებმა გაცვალეს მოსაზრებები რეგიონულ და გლობალურ საკითხებთან დაკავშირებით. ისინი მიესალმნენ ორი ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების უწყებებს შორის ძლიერ კავშირებს და ხაზგასმით აღნიშნეს როგორც კონვენციური, ასევე ჰიბრიდული საფრთხეების სფეროში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მნიშვნელობა. ამ კონტექსტში, მხარეებმა ხაზი გაუსვეს თავდაცვის სამინისტროებს შორის არსებულ ხანგრძლივ თანამშრომლობას და კმაყოფილება გამოთქვეს თავდაცვის სფეროში

თანამშრომლობის 2018-2019 წლების გეგმასთან დაკავშირებით, რომელსაც შესაბამისმა უწყებებმა ხელი მარტში მოაწერეს.

მხარეებმა იმსჯელეს მთელ რიგ გამოწვევებზე, როგორცაა გარე ძალების ჩარევა საარჩევნო პროცესებში, პროპაგანდა, ორგანიზებული დანაშაული, კიბერ-უსაფრთხოება და კრიზისების მართვა. ისინი შეთანხმდნენ მჭიდრო კავშირების შენარჩუნებასა და ურთიერთობების შემდგომ განვითარებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, ყურადღება გამახვილდა შესაბამის უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლაზე. ორივე მხარემ აღიარა ტერორიზმი და კიბერ თავდასხმები, როგორც საერთო საფრთხე და ხაზგასმით აღნიშნა ამ მიმართულებით ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობა. მხარეები მიესალმნენ საქართველოს მთავრობასა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობას შორის კიბერ უსაფრთხოების სფეროში ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერას, რომელიც ადასტურებს კიბერ-უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის მიმართ საერთო მხარდაჭერას. ორივე მხარე მიესალმა კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლის სფეროში ორმხრივი შეთანხმების გაფორმების მიზნით მოლაპარაკებათა დაწყებას.

მხარეებმა განიხილეს ნატოს სხვადასხვა ფორმატში ინტენსიური თანამშრომლობა და საქართველოს მიერ თანამშრომლობის ყველა არსებული მექანიზმის, მათ შორის, გაერთიანებული სამეფოს მიერ მხარდაჭერილი ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტის ფართოდ გამოყენების საკითხები. მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს რეგულარული ერთობლივი სამხედრო სწავლებებისა და წვრთნების მნიშვნელობაზე, აღინიშნა 2019 წლისთვის ნატოს ეგიდით გასამართი და სხვა მრავალეროვნული სწავლებების შესახებ.

გაერთიანებული სამეფოს მხარემ მადლიერება გამოხატა საერთაშორისო ოპერაციებში, მათ შორის, ავღანეთში ნატოს ეგიდით მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით, და დაადასტურა ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტის მკაფიო მხარდაჭერა, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს თავდაცვის სფეროში რეფორმების განხორციელებას, ნატოსთან საქართველოს თავსებადობისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. ბრიტანეთის მხარემ ასევე ხაზი გაუსვა, რომ მხარს უჭერს საქართველოს სწრაფვას, გახდეს ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი.

მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს საზღვაო უსაფრთხოების გაძლიერების კუთხით საქართველოს ძალისხმევაზე და ხაზგასმით აღნიშნეს საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის როლი ამ მიმართულებით. ისინი ასევე მიესალმნენ შავი ზღვის უსაფრთხოებასთან მიმართებაში ერთობლივ ვალდებულებას და ხაზგასმით აღნიშნეს ნორთუდში, ნატოს გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლობასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რაც საქართველოს სანაპირო დაცვის მეკავშირე ოფიცრის მეშვეობით ხორციელდება.

დელეგაციებმა საქართველოში ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერებაზეც იმსჯელეს. ხაზგასმით აღინიშნა ბრიტანეთის მხარდაჭერა კრიზისის მართვის სისტემისა და შესაძლებლობათა გაძლიერების მიმართულებით. საქართველოს მხარემ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეფორმა წარმოადგინა, რომლის მიზანია ყველა დონეზე კრიზისის მართვის ღონისძიებათა კოორდინაცია, საგანგებო სიტუაციების პრევენცია და მოქალაქეთა დაცვის უზრუნველყოფა. საქართველოს დელეგაციამ საქართველოს ეროვნული

უშიშროების საბჭოს კონცეფციის ჩამოყალიბების მიმდინარე პროცესზე იმსჯელა და მადლიერება გამოხატა გაერთიანებული სამეფოს ჩართულობასთან დაკავშირებით. ამასთანავე, მათ ხაზი გაუსვეს გაერთიანებული სამეფოს შეიარაღებული ძალების სახელმწიფო მინისტრის, მარკ ლანკასტერის წარმატებულ ვიზიტს; ასევე, 2018 წლის მარტში, ნატოს სამხედრო გემებთან ერთად, ბრიტანული ფლაგმანის -"HMS Duncan"-ის შესვლას საქართველოს ტერიტორიულ წყლებში. ორივე ფაქტი წარმოადგენს ნატოს მოკავშირეთა მხრიდან საქართველოს მიმართ მხარდაჭერის მკაფიო გამოხატულებას.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა რეგიონში გაერთიანებული სამეფოს ჩართულობის შენარჩუნების მნიშვნელობა, პოლიტიკური სტაბილურობისა და დემოკრატიული ტრანსფორმაციის მიმართ მხარდაჭერის გზით.

ეკონომიკისა და ვაჭრობის კომპონენტი

ეკონომიკური განზომილების შესახებ მსჯელობისას, მხარეებმა დაადასტურეს, რომ სავაჭრო და სექტორული თანამშრომლობა, განსაკუთრებით კი ინოვაციები, დღის წესრიგის მთავარ საკითხად უნდა დარჩეს. მათ გაცვალეს ინფორმაცია თავიანთ ქვეყნებში არსებულ ვითარებაზე, მათ შორის, მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებზე. მხარეებმა იმსჯელეს ორმხრივი სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობებისა და ორ ქვეყანას შორის ბიზნეს კავშირების გაღრმავების შესაძლებლობებზე.

აღნიშნულ კონტექსტში, ყურადღება გამახვილდა 2018 წლის ივნისში, საქართველოში გაერთიანებული სამეფოს პირველი ოფიციალური სავაჭრო მისიის ვიზიტზე, რომელსაც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სავაჭრო წარმომადგენელი მარკ პრიჩარდი ხელმძღვანელობდა. მხარეებმა ასევე ისაუბრეს გაერთიანებულ სამეფოში თბილისის მერიის დელეგაციის და 2018 წლის ოქტომბერში საქართველოში ბრისტოლის სავაჭრო გილდიის ვიზიტებზე. ხაზგასმით აღინიშნა ვიზიტების მნიშვნელობა, რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომლობის სფეროების გაფართოებას.

ამ თვალსაზრისით, მხარეებმა დაადასტურეს ორ ქვეყანას შორის პირდაპირი ფრენების მნიშვნელობა, რომელთა შედეგადაც გაერთიანებული სამეფოდან საქართველოში ჩამოსვლელ ვიზიტორთა რიცხვი 43%-ით გაიზარდა.

მხარეებმა ასევე იმსჯელეს თანამშრომლობის შესაძლებლობებზე ინფრასტრუქტურის, საცალო ვაჭრობის, ტრანსპორტირებისა და ლოგისტიკის, ინოვაციებისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში. ისინი მიესალმნენ ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერას საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო პალატასა და გიბრალტარისა და ედინბურგის სავაჭრო პალატებს შორის და დაადასტურეს მზადყოფნა, ხელი შეუწყონ მოცემულ ფორმატში აქტიური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

სამხრეთ დერეფნის უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ქართულმა მხარემ ხაზი გაუსვა საქართველოში BP-ის საქმიანობას, რომელიც სიდიდით მეორე ინვესტორია. მხარეებმა აღნიშნეს საქართველოში გაერთიანებული სამეფოს ინვესტიციების მოცულობის შემდგომი ზრდის მნიშვნელობა და მიესალმნენ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისა და „ანაკლია სითის“ პროექტების განვითარებაში ბრიტანული კომპანიების აქტიურ ჩართულობას. ასევე, ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ საქართველოს კომპანიები კარგად არის წარმოდგენილი ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

გაერთიანებული სამეფოს მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ღია და სამართლიანი ბიზნეს გარემო უმნიშვნელოვანესია ორმხრივი ვაჭრობისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის კუთხით. დღემდე საქართველომ შესანიშნავ პროგრესს მიაღწია ამგვარი გარემოს შექმნის თვალსაზრისით და გაერთიანებულმა სამეფომ დაადასტურა თავისი მხარდაჭერა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების მიმართ.

მხარეებმა იმსჯელეს ინოვაციების მნიშვნელობაზე და შეთანხმდნენ, გამართონ შემდგომი დისკუსიები პოტენციური თანამშრომლობის საკითხებზე, განსაკუთრებით, ინოვაციების, ტექნოლოგიებისა და სტარტაპების სფეროში.

მხარეებმა დაადასტურეს თავიანთი საერთო მიზანი, გააძლიერონ ორმხრივი ვაჭრობა და, ამ თვალსაზრისით, ხაზი გაუსვეს ევროკავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გასვლის შემდეგ, ორ ქვეყანას შორის ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შენარჩუნების მნიშვნელობას. საქართველოს ღია და ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის გათვალისწინებით, საქართველოს მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის მზადაა იყოს ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც გაერთიანებულ სამეფოსთან ხელს მოაწერს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ახალ ყოვლისმომცველ შეთანხმებას.

მხარეები მიესალმნენ ბრისტოლსა და სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში საქართველოს პირველ საპატიო კონსულად დერეკ პიკაპის, ხოლო გიბრალტარში საქართველოს საპატიო კონსულად - სარა ედვინა უინსონ ჰეინესის დანიშვნას, და აღნიშნეს, რომ ეს ფაქტი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ორმხრივ ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობას.

ხალხთა შორის ურთიერთობების კომპონენტი

მხარეები მიესალმნენ ორ ქვეყანას შორის ძლიერი საგანმანათლებლო და კულტურული კავშირებისა და ხალხთა შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებას და განიხილეს არსებული ინტენსიური თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების პოტენციალი.

განსაკუთრებული აქცენტი საქართველოში ბრიტანეთის საბჭოს მიერ განხორციელებულ აქტივობებზე გაკეთდა. ხაზგასმით აღინიშნა საქართველოსა და ბრიტანეთის საბჭოს შორის განათლების, ხელოვნებისა და საზოგადოების სფეროში არსებული შესანიშნავი თანამშრომლობა, რომელიც გაერთიანებული სამეფოს გამოცდილებისა და ინოვაციების გაზიარებას ეფუძნება. მხარეები მიესალმნენ საქართველოს მასშტაბით მოქმედ ინგლისურენოვან სასწავლო პროგრამებსა და ინგლისურენოვან კლუბებს. განხილულ იქნა აღნიშნული ქსელების გაფართოების შესაძლებლობები. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე იმსჯელეს პროფესიული განათლებისა და ციფრული მეფინგის პროგრამებში ინგლისური ენის გამოყენების საკითხებზე.

მხარეები მიესალმნენ ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერას საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ბრიტანეთის ბიბლიოთეკას შორის, რომელიც „ითვალისწინებს თანამშრომლობის საერთო ჩარჩოს შემდგომ განვითარებას მომავალი თანამშრომლობისთვის ინტერესთა სფეროების განსაზღვრის გზით“.

მხარეებმა განიხილეს თანამშრომლობა განათლების სფეროში და ხაზგასმით აღნიშნეს საქართველოში განათლების რეფორმის პრიორიტეტებთან უფრო მეტი შესაბამისობის მიღწევის მნიშვნელობა.

განხილულ იქნა გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოს უნივერსიტეტებს შორის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გაცვლისა და გაერთიანებული სამეფოს გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობის საკითხები, მათ შორის, განათლების გაუმჯობესება სტრატეგიული დაგეგმვისა და ინოვაციების, მენეჯმენტის, შესაძლებლობათა გაძლიერების, ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროგრამების განვითარების გზით. საქართველოს მხარემ გამოხატა სურვილი, გაიზიაროს შოტლანდიის გამოცდილება ზოგადსაგანმანათლებლო ინსტიტუტებში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვის კუთხით.

საქართველოს მხარემ მადლობა გადაუხადა გაერთიანებულ სამეფოს საქართველოს მოქალაქეებისთვის სულ უფრო მეტი სასწავლო და კვლევითი სტიპენდიების გამოყოფისთვის.

მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და გაერთიანებულ სამეფოში მოქმედ კვლევით ინსტიტუტებს შორის არსებულ თანამშრომლობას, რომლის მიზანია დამწყები მკვლევარების მოზილობის ხელშეწყობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას პრაქტიკისა და ექსპერტების მონაცემთა ბაზების გაცვლა სამეცნიერო პროექტების შეფასების მიზნებისთვის. ამ კონტექსტში, აღინიშნა ოქსფორდის უნივერსიტეტში, ქართული პროგრამის წარმატებული ფუნქციონირება, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებითა და მხარდაჭერით განხორციელდა.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს არსებული კულტურული კავშირების მნიშვნელობა და შეთანხმდნენ, ყველა სახის ძალისხმევით, ხელი შეუწყონ ამ თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. კერძოდ, მხარეები შეთანხმდნენ, ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება კრეატიული ინდუსტრიების სექტორში ვირტუალური და ფიზიკური კლასტერებისა და ქსელების შექმნის, ასევე კრეატიული ინდუსტრიების სექტორში განათლებისა და შესაძლებლობათა გაძლიერების სისტემის გაუმჯობესების კუთხით. ამასთან, აღინიშნა გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობა კრეატიული მეწარმეების ხელშეწყობისთვის სახელმწიფო მექანიზმების შემუშავებისა და კრეატიული ინდუსტრიების სექტორის აღწერილობის, ასევე სტატისტიკური ანალიზის მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის განვითარების მიმართულებით. მხარეები შეთანხმდნენ, ითანამშრომლონ ბრიტანეთის საბჭოს ეგიდით განხორციელებული პროგრამების („შემოქმედებითი ნაპერწკალი“ და „ფესტივალები განვითარებისთვის“ აჭარაში) ფარგლებში.

მხარეებმა იმსჯელეს განათლებისა და კულტურის სფეროში ორ ქვეყანას შორის საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფისა და შესაბამის უწყებებს შორის შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობებზე.

მხარეები მიესალმნენ 2019 წელს საქართველოში გაერთიანებული სამეფოს სეზონის ჩასატარებლად მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობას და 2020 წელს გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს კულტურის სეზონების/კულტურის დღეების გამართვას და შეთანხმდნენ ამ მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის გაცვლაზე.

მონაწილეები მიესალმნენ სახალხო დიპლომატიის მხარდ როლსა და პოზიტიურ გავლენას საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ურთიერთობებზე. აღნიშნულ კონტექსტში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროფესიულ ქსელებს შორის (როგორცაა

ბრიტანეთის სამედიცინო ჟურნალი (The BMJ) და საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტები, დიეტოლოგიის საზოგადოებები და ხელოვნებისა და კულტურის ცენტრები) თანამშრომლობას, ასევე განხილულ იქნა ამ თანამშრომლობის გაფართოების შესაძლებლობები.

საქართველოსა და გაერთიანებული სამეფოს მხარეებმა ხაზი გაუსვეს ძლიერი პარტნიორობის ჩამოყალიბებას ბრისტოლ-თბილისის, ნიუპორტ-ქუთაისისა და ნიუქასლ-ახალციხის დამძობილების ასოციაციების მეშვეობით.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს ქართულ-ბრიტანული ურთიერთობების განვითარებაში მარჯორი სკოტ უორდროპის - მკვლევარისა და მთარგმნელის მნიშვნელოვანი როლი და შეთანხმდნენ, შეისწავლონ 2019 წელს, UNESCO-ს მონაწილეობით, მისი დაბადებიდან 150 წლისთავის აღნიშვნის შესაძლებლობები.

დისკუსიების შემდეგ, საქართველომ და გაერთიანებულმა სამეფომ დაადასტურეს თავიანთი განზრახვა, გააძლიერონ ორმხრივი სტრატეგიული პარტნიორობა და მომავალ წელს, ლონდონში, გამართონ უორდროპის სტრატეგიული დიალოგის მე-6 რაუნდი.